22/10/2025

MES 9 25 0001386252

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:04 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:17 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეამ ჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ციური დურული** -სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **მზია წიკლაური** -შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
10. **ბონდო გასვიანი** -შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. **ირინა ლობჟანიძე** -სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
12. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
15. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ვახტანგ ჭარაია - რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი
მეჰდი მაჯიდი - მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო, მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის სამაგისტრო და მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ბიწაძე - გრუნის მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორი

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი:
აკაკი ჭელიძე - რექტორი;
დიმიტრი გეგენავა - პრორექტორი;
ნინო წიქვაძე- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
თამარ ქობულაძე - ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
სოფიო ნადირაძე - ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია:
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - რექტორის მოადგილე;
თამარ რემიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
ვიცე - პოლკოვნიკი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი;
ვიცე - პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე-ბაკალავრიატის ხელმძღვანელი;

ვიცე - პოლკოვნიკი ვაჟა ვაშაყმაძე - მიმართულების ხელმძღვანელი;
ივანე ბალახაშვილი - სამართლის საბაკალავრო პროგრამის პროფესორი.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
თეა ხორგუაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ორჯონიკიძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათია ჟოჟუაშვილი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
ლევან მიდოდაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (I საკითხი);
ეკა ლეკაშვილი (I, IV და V საკითხები);
იზა ბუკია (I საკითხი);
მაია ჭინჭარაშვილი (I საკითხი);
გიგა ხოსიტაშვილი (I საკითხი);
გიორგი მხეიძე (I საკითხი);
სალომე საბიაშვილი (II საკითხი);
ნათია ბადრიშვილი (II საკითხი);
ნინო პატარაია (II საკითხი);
ანჟელა აბულაძე (II საკითხი);
ეკა კაველიძე (III საკითხი);
ნინო ლიპარტია (III საკითხი);
მიხეილ ბიჭია (III საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის" სამაგისტრო და "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის" სამაგისტრო და "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის" სამაგისტრო და "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაცია
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა აბდულ რაუფმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 22–23 ივლისს, რომლის ფარგლებშიც შეფასდა სამი პროგრამა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც პროგრამების დიზაინმა, ისე ადგილზე არსებულმა მდგომარეობამ.
სადოქტორო (PhD) პროგრამასთან მიმართებით გაიცა ორი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხება 2.1 სტანდარტს. პირველი რეკომენდაცია გულისხმობს ინგლისური ენის დონის უკეთ მორგებას პროგრამის სპეციფიკასთან, ხოლო მეორე — სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობის უფრო ნათლად წარმოჩენას.
ასევე აღინიშნა, რომ სხვა პროგრამებთან მიმართებითაც არსებობდა რიგი რეკომენდაციები, რომელთა მიზანია პროგრამების კიდევ უფრო გაუმჯობესება. საერთო ჯამში, საერთაშორისო ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ სამივე შეფასებული პროგრამა სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ჭარაიამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხი უფრო ტექნიკური ხასიათისაა, რადგან უნივერსიტეტი არა მხოლოდ აღნიშნულ, არამედ ყველა სასწავლო პროგრამაზე ითხოვს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. შესაბამისად, დაწესებულება სრულად იზიარებს ამ

რეკომენდაციას. ასევე, გაზიარებულ იქნა რეკომენდაცია აპლიკანტის დროის განსაზღვრის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.

14:45 სთ-ზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა მზია წიკლაური.

მეორე საკითხი: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0313 - ფსიქოლოგია
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტის მიმართვა სხდომაზე წარადგინა თარჯიმანმა: *აკრედიტაციის საბჭოს ძვირფასო წევრებო, გიგზავნით მოკლე ანგარიშს, რომელიც ეხება ადგილზე ვიზიტსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას სამაგისტრო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით. ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა გეგმის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა პირადად დაათვალიერეს უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, ელექტრონული სასწავლო სერვისები და აუდიტორიები. დაკვირვება ჩაატარა ექსპერტთა ჯგუფის რამდენიმე წევრმა. დაწესებულების წარმომადგენლებთან ყველა ინტერვიუ ჩატარდა Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, რომელშიც ექსპერტთა ჯგუფი მონაწილეობდა სრული შემადგენლობით. დოკუმენტების, ინტერვიუებისა და გასაუბრებების ჩატარების შემდეგ, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციის გათვალისწინებით, ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ძირითად სტანდარტებს (1, 3, 4 და 5), ხოლო სტანდარტი 2 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. იმ სფეროებისთვის, რომელთა შემდგომი განვითარებაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ჯგუფმა წარმოადგინა სავალდებულო რეკომენდაციები, აგრეთვე არასავალდებულო რჩევები და შემოთავაზებები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი, რომელიც მონაწილეობდა დასკვნის მომზადებასა და ინსტიტუციის პასუხის განხილვაში, მიიჩნევს, რომ დასკვნა კარგად დასაბუთებულია და ეფუძნება მყარ მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო შეფასების პროცესის განმავლობაში.*

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს როგორც რეკომენდაციებს, ისე რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:51

დასრულების დრო: 15:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

მესამე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამის დასახელება: სამართალი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 - სამართალი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 269
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა კაველაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის ივლისში და შეფასდა პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გამოვლინდა მეტწილად შესაბამისობა, მეოთხე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, ხოლო მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებითაც აღინიშნა მ ე ტ წ ი ლ ა დ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა.
ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად სამი

მიმართულებით არის დაჯგუფებული: სასწავლო კურსები — მათი თემატიკა, ლიტერატურა და კურსებს შორის გადაფარვა; ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხები; პერსონალი და პროგრამის მდგრადობა.
სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა მიზანია გადაფარვის აღმოფხვრა, სილაბუსიდან ზოგიერთი საკითხის ამოღება, თემატიკის უფრო ლოგიკური განაწილება და კურსების დაძლევადობის გაუმჯობესება. პერსონალთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანიზმი, რეკომენდებულია ბალანსის უზრუნველყოფა პროგრამის მდგრადობის გასაზრდელად.
სწავლის შედეგების რუკის რევიზიასთან დაკავშირებით, რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტულ კურსებს, რათა შედეგები უფრო გაზომვადი ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტში მეორე წელია არსებობს და ამ ეტაპისთვის მხოლოდ პირველი და მეორე კურსელები არიან. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.
ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაუგებარი იყო დაწესებულებისთვის, რადგან აკადემიას სამიზნე ნიშნულები ყველა პროგრამაზე უკვე გააჩნია.
გადაფარვებთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა მიიჩნიეს, თითქოს სამაგისტრო პროგრამაში შესაძლოა გადაფარვა არსებობდეს, თუმცა ეს ასე არ არის. რვა სასწავლო კურსი მხოლოდ გაცნობის დონეზე მიმდინარეობს, ხოლო დარგობრივი კურსები სრულად შეესაბამება დარგობრივ სტანდარტებს.
რუკასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორებულია. ასევე შესრულდა ექსპერტთა რეკომენდაცია აკადემიური წერილის სილაბუსში ჩასმის შესახებ. შესავალი კურსების კვეთასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულებამ წარადგინა დეტალური არგუმენტაცია. რაც შეეხება თემატიკის კომპლექსურად შესწავლის რეკომენდაციას, სილაბუსის ავტორი არ დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, რის გამოც ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ეს ავტორის აკადემიური უფლებაა და რეკომენდაცია არ განხორციელდა.
მეშვიდე რეკომენდაცია, რომელიც ხარისხის სამსახურის ჩართულობას ეხებოდა, დაწესებულებისთვის ნაწილობრივ გაუგებარი აღმოჩნდა, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობს ყველა საჭირო პროცესში. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკადემია აქტიურად იყენებს PDSA ციკლს პროგრამების განვითარებისთვის. ერთადერთი, რაც ექსპერტებს შესაძლოა არ შეემჩნიათ, არის ის, რომ საბუთების გამოგზავნის დროს მხოლოდ ერთი სემესტრი იყო დასრულებული, რის შედეგადაც ციკლი სრულად ვერ დათვალიერდა.
ექსპერტმა მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ კურიკულუმის ნაწილში ზოგი საგანი მხოლოდ გაცნობის დონეზე მიმდინარეობს, ხოლო დანარჩენი — გაღრმავების დონეზე. ექსპერტთა ხედვაა, რომ გადახედვა სჭირდება იმ საგნებს, რომლებიც საჭიროებენ დეტალურ შესწავლას, დანარჩენი კი დარჩება გაცნობის დონეზე.
აღინიშნა, რომ სამაგისტრო და საბაკალავრო დონეს შორის განსხვავება სიღრმისეულ შესწავლაში მდგომარეობს. ასევე ხაზგასმული იყო, რომ შესავალი იურიდიულ პროფესიონალობაში ეფუძნება იურისტის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და სწავლების შედეგებში გამოხატულია როგორც ეთიკური, ისე მორალური და ზნეობრივი ასპექტები. აუცილებელია, რომ ლექტორები და სტუდენტები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამაში. საბოლოოდ აღინიშნა, რომ თავდაცვის აკადემიამ საკუთარი ნიშა იპოვა და

ავითარებს პროგრამას, რომელიც ამ ეტაპზე ორიენტირებულია ისეთ იურისტებზე, რომლებიც ფლობენ საერთო სამართლებრივ კომპეტენციებს და სპეციალიზებულნი არიან სამხედრო სფეროში, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ ადაპტაციასა და პროგრამის ეფექტურ ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს სამეცნიერო პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც 11 იყო მითითებული, და დაინტერესდა, რა ტიპის პერსონალის შესახებ იყო საუბარი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა კაველიძემ განმარტა, რომ ცხრილი სტანდარტის მიხედვით არის შევსებული.
ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ დაამატა, რომ ცხრილი შევსებულია მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოიცავს როგორც მოწვეულ, ისე აფილირებულ პერსონალს. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს არა მხოლოდ პროგრამაში ჩართულ, არამედ მთელ საუნივერსიტეტო პერსონალს, რომელიც განსაზღვრული იყო აღნიშნული პროგრამისათვის.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მან დასვა კითხვა შუალედური შეფასების პროცესის შესახებ, რომელშიც სტუდენტს მინიჭებული აქვს 70 ქულა დაწესებულების მიერ და ასევე პრეზენტაცია. დაინტერესდა, როგორ ხდება დიფერენცირება ამ 70 ქულის მოპოვებისას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია იმსჯელებს კრიტერიუმებზე და კონკრეტულ ციფრებს განსაზღვრავს შეფასების პროცესში.
ექსპერტმა მიხეილ ბიჭიამ დასძინა, რომ შესავალი სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებით რეკომენდაცია ეხება მხარდაჭერის ინსტიტუტის აღნიშვნას სილაბუსში. აღნიშნული ცვლილება ასახავს საკანონმდებლო განახლებას, რაც რადიკალურად ცვლის მხარდაჭერის მიმღებთა უფლებრივ მდგომარეობას, ამიტომ სილაბუსში უნდა იყოს მკაფიოდ აღნიშნული. იურიდიულ პირთან დაკავშირებულ საკითხებში აღინიშნა, რომ მათი განხილვა ერთი კვირის ფარგლებში რთულია, რადგან სემესტრში განიხილება თეორიული ასპექტები, კომერციული და არაკომერციული პირების მაგალითები და მათი შედარება. რეკომენდაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი კვირა არ არის საკმარისი საკითხის სრულად განხილვისთვის, და აუცილებელია არაიურიდიული პირების განხილვაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:47
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.
იმის გათვალისწინებით, რომ 2026 წელი განსაზღვრულია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წლად, საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას დაევალა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების შესრულება. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება შეამოწმდება "სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა და სასწავლო კურსის შინაარსის, მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და საბაკალავრო საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს თუ რა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) ავითარებს თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით, კერძოდ: სასწავლო კურსი „შესავალი იურიდიულ პროფესიებში“ უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის მე-9 შედეგის მიღწევასაც და უნდა აღწერდეს „პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას“, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. ასევე,; „ინგლისური ენა იურისტებისთვის (1, 2, 3)“ ლოგიკურად უნდა იყოს ორიენტირებული „უნარების“ გამომუშავება-განვითარებაზეც;
3. რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების ნაწილი დაზუსტდეს, კერძოდ: თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული, გაზომვადი მაჩვენებელი, გათვალისწინებულ იქნეს სამიზნე ნიშნულების დადგენისა და გადახედვის პროცედურა, განსაზღვრული იყოს კონკრეტული ქმედებები სამიზნე ნიშნულების გადაცილების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ნიშნულების გამჭვირვალობა მონაწილეებისთვის;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში: „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ აღმოიფხვრას გადაფარვები ხოლო საგნის „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ სილაბუსის შინაარსი დაკორექტირდეს - დაემატოს ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, სამოქალაქო უფლების არსი და სახეები, მათი დაცვის საშუალებები, ერთობლივი საინვესტიციო ფონდი, სეკიურიტიზაციის ფონდი), ასევე საგნის „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ სილაბუსი მე-15 თემა ამოღებულ იქნეს;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში თემატიკის ჩამონათვალი იმგვარად გადალაგდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი თემატიკის დაძლევა ერთ სალექციო შეხვედრაზე (მაგ.: „ადამიანის ძირითადი უფლებების“ სალექციო კურსი);
6. რეკომენდირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შორის ბალანსის უზრუნველყოფა, რათა პროგრამის მდგრადობა იქნეს უზრუნველყოფილი;
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განვითარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამის „შემოწმებისა“ და „დახვეწა-განვითარების“ ეტაპებს;
8. მიზანშეწონილია, ჩატარდეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების საფუძვლიანი ანალიზი პროგრამის სისტემური დახვეწის მიზნით და უზრუნველყოფილ იქნეს მათი სრული გათვალისწინებაინტეგრაცია საბაკალავრო პროგრამაში.

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო ორი საკითხი ეხებოდა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელთა შესწავლაც მოხდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მ იერ, საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა მომხდარიყო ერთ ად, რაზეც დაწესებულებამ და საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

მეხუთე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ციური დურულმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ-(ებ)-მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების შეფასება განხორციელდა ეროვნულ სასწავლო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესი დაიწყო 2025 წლის 4 ივნისს. ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის: პროგრამების სილაბუსები, პროგრამებში ჩართული პირების CV-ები, მათ კვალიფიკაციაზე და აფილირებაზე დაყრდნობით, მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, ინფორმაცია სტუდენტთა აქტივობების შესახებ, საბაკალავრო ნაშრომები.

ამ დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა დასკვნაში მიეთითა რომ ყველა კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, გარდა სტანდარტის 1.5, სადაც მიზანშეწონილია, ინსტიტუციამ დაიწყოს ძირითადი სასწავლო მასალის განახლების პროცესი. ორივე პროგრამაზე მსგავსი რეკომენდაციები და რჩევებია წარმოდგენილი. ინსტიტუციის სურვილი იყო აღნიშნული რეკომენდაციის რჩევაში გადატანა, თუმცა ექსპერტთა მხრიდან ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მიდოდაშვილმა აღნიშნა, რომ რეგულაციებით გათვალისწინებულია აქტივობები ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით და აბსოლუტურად მისაღებია რეკომენდაციაც. დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:03
დასრულების დრო: 16:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 7 ოქტომბერს.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 07 ოქტომბრის16:17 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
ფაილი
ეროვნული
ელექტრონული